# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 439

„22" სექტემბერი 2023 წ

ქ. თბილისი

### ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.14.095.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს №23.1262.1406 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

*დანართი N1*

| ქალაქი თბილისი, სამღერეთის ქუჩა N5 (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, ბინის ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
| 1 | ნინო ძარღუაშვილი | 01019088908 | სართული 1 | 19.82 | 01.12.14.095.020.01.650 |
| 2 | თეა ხორგუაშვილი | 01019063188 | სართული 1 | 25.22 | 01.12.14.095.020.01.648 |
| 3 | მადონა თიგიშვილი | 01019055548 | სართული 1 | 23.76 | 01.12.14.095.020.01.647 |
| 4 | ანა რევაზიშვილი | 01119089609 | სართული 1 | 19.45 | 01.12.14.095.020.01.652 |
| 5 | ნათია მჭედლიშვილი | 01019068657 | სართული 1 | 20.28 | 01.12.14.095.020.01.646 |